სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/02

ქ. თბილისი 16 იანვარი 2025წ

გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში - საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის წესის დამტკიცების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის 2025 წლის 15 იანვრის MES 3 25 0000017049 სამსახურებრივი ბარათის და აკადემიური საბჭოს 2025 წლის 16 იანვრის №01-05-02/01 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. დამტკიცდეს „გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში - საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის წესი“ (დანართი).

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მიერ გაცვლითი საერთაშორისო პროგრამის ფარგლებში, საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის მიღების მიზნით, კონკურსის ჩატარების წესის" დამტკიცების შესახებ“ სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 29 დეკემბრის N01-05-04/233 დადგენილება;

ბ) „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტის მიერ გაცვლითი საერთაშორისო პროგრამის ფარგლებში, საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის მიღების მიზნით კონკურსის ჩატარების წესის" დამტკიცების შესახებ“ სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 29 დეკემბრის N01-05-04/232 დადგენილება.

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**

დამტკიცებულია სტუ-ის აკადემიური საბჭოს
2025 წლის 16 იანვრის №01-04-05/02 დადგენილებით

დანართი

გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში - საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. წინამდებარე წესი არეგულირებს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) სტუდენტის და აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის მიერ გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში - საერთაშორისო მობილობაში (შემდგომში - **გაცვლითი პროგრამა**) მონაწილეობის მიღების მიზნით ჩასატარებელი კონკურსის პროცედურულ საკითხებს, შესაბამის ეტაპებსა და ვადებს, ადგენს კონკურსში მონაწილეთა უფლებებსა და მოვალეობებს.

2. **გაცვლითი პროგრამა** ამ წესის მიზნებისთვის განიმარტება როგორც - Erasmus+ პროგრამა - საერთაშორისო კრედიტ მობილობა (International Credit Mobility – ICM) უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის და აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალისთვის და ხორციელდება უნივერსიტეტსა და ევროპის (ასოცირებული/პროგრამის ქვეყნები) უნივერსიტეტებს შორის გაფორმებული საპარტნიორო (ინტერინსტიტუციური) ხელშეკრულების ფარგლებში, ასევე, უნივერსიტეტსა და უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის დადებული ურთიერთთანამშრომლობის (ბილატერალური) ხელშეკრულების საფუძველზე განსახორციელებელი პროგრამა.

3. ამ წესის მიზნებისათვის უნივერსიტეტის **ადმინისტრაციული პერსონალი** განიმარტება როგორც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით და უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული ადმინისტრაციული თანამდებობის პირები, ასევე, დამხმარე პერსონალი, ხოლო აკადემიური პერსონალი მოიცავს როგორც უნივერსიტეტის აკადემიურ და მასწავლებელთა პერსონალს, ასევე, მოწვეულ პროფესორებს და მასწავლებლებს.

4. წინამდებარე წესი შესასრულებლად სავალდებულოა გაცვლითი პროგრამის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში მონაწილე ყველა პირისათვის.

5. წინამდებარე წესით დადგენილი პროცედურები გამჭვირვალეა და ინფორმაცია მისი თითოეული ეტაპის შესახებ ღია, ხელმისაწვდომი და ადვილად აღქმადია დაინტერესებულ პირთათვის.

6. გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიზნით კანდიდატთა შერჩევის პროცესის ადმინისტრირებას ახორციელებს უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი.

მუხლი 2. კონკურსის მიზანი

1. კონკურსის მიზანს წარმოადგენს გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად უნივერსიტეტის სტუდენტთა და აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის შერჩევა მიმღებ პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში

სწავლა/სწავლების/სტაჟირების მიზნით, შესაბამისი ინტერინსტიტუციური ან/და ბილატერალური ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

2. პარტნიორი უნივერსიტეტების სია შესაბამისი სამეცნიერო მიმართულებებით Erasmus+ პროგრამისთვის, აგრეთვე და უნივერსიტეტსა და უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის დადებული ურთიერთთანამშრომლობის (ბილატერალური) ხელშეკრულების საფუძველზე განსახორციელებელი პროგრამისათვის მოცემულია სტუ-ს ვებგვერდზე (https://gtu.ge/dir/erasmus.php, https://gtu.ge/dir/Partners.php).

მუხლი 3. კონკურსში მონაწილეობის პირობები

1. კონკურსში მონაწილეობა შეუძლია:

ა) უნივერსიტეტის უმაღლესი განათლების ყველა საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) სტუდენტს, რომელსაც საკონკურსო განაცხადის შემოტანისას აქვს აქტიური სტატუსი და აკმაყოფილებს ამ წესით დადგენილ პირობებს.

ბ) უნივერსიტეტის აკადემიურ/ადმინისტრაციულ პერსონალს, რომელიც საკონკურსო განაცხადის შემოტანის დროს არის უნივერსიტეტის პერსონალი და შრომითი ხელშეკრულების ვადა არ ეწურება გაცვლითი პროგრამის განხორციელების პერიოდში.

2. სწავლის მიზნით გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა დასაშვებია:

ა) ბაკალავრიატის სწავლების საფეხურზე, მე-4 - მე-7 სემეტრების ჩათვლით;

ბ) მაგისტრატურის სწავლების საფეხურზე, მე-2 - მე-3 სემესტრების ჩათვლით;

გ) დოქტორანტურის სწავლების საფეხურზე, მე-2 - მე-5 სემესტრების ჩათვლით.

3. სტაჟირების მიზნით გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა დასაშვებია:

ა) ბაკალავრიატის სწავლების საფეხურზე, მე-4 - მე-8 სემეტრების ჩათვლით;

ბ) მაგისტრატურის სწავლების საფეხურზე, მე-2 - მე-4 სემესტრების ჩათვლით;

გ) დოქტორანტურის სწავლების საფეხურზე, მე-2 - მე-6 სემესტრების ჩათვლით.

4. საკონკურსოდ არ განიხილება სტუდენტის განაცხადი, რომლის GPA-ს ოდენობა ნაკლებია 2.20-ზე ან უცხოურ ენაში მისი შიდა საუნივერსიტეტო ტესტირების შედეგი 51 ქულაზე ნაკლებია.

5. Erasmus+ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მიღება არ შეუძლია:

ა) ნებისმიერი საფეხურის სტუდენტს, რომელსაც უკვე მიღებული აქვს Erasmus+ გრანტი იმავე საფეხურზე და მისი მობილობის პერიოდი დაგეგმილი მობილობის ჩათვლით აღემატება 12 თვეს;

ბ) აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს;

გ) სტუდენტს, რომელმაც უკვე მონაწილეობა მიიღო მობილობაში და არ შეასრულა შესაბამისი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები ან/და დადგენილი წესით არ/ვერ წარმოადგინა მიმღებ უნივერსიტეტში მიღებული კრედიტების უნივერსიტეტის შესაბამის ფაკულტეტზე აღიარების დოკუმენტი;

დ) სტუდენტს/აკადემიურ/ადმინისტრაციულ პერსონალს, რომელმაც უკვე მონაწილეობა მიიღო მობილობაში და არ შეასრულა შესაბამისი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები

ან/და დადგენილი წესით საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტში არ წარადგინა **მობილობის ანგარიში** განხორციელებულ მობილობაზე.

მუხლი 4. საკონკურსო კომისია

1. გაცვლითი პროგრამის ფარგლებში კანდიდატების შესარჩევ საკონკურსო კომისიას ბრძანებით ამტკიცებს სტუ-ს რექტორი.

2. საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში, როგორც წესი, უნდა შედიოდნენ:

ა) ვიცე-რექტორი - კომისიის თავმჯდომარე;
ბ)უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი/წარმომადგენელი;
გ) სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფროსი/წარმომადგენელი;
დ) სტუდენტთა თვითმმართველობის ხელმძღვანელი/წარმომადგენელი;
ე) საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელი/წარმომადგენელი;
ვ) შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის (ფაკულტეტი, ადმინისტრაციული დეპარტამენტი, დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი (ინსტიტუტი, ცენტრი, და სხვ.) ერთეული (შემდგომში - ინსტიტუტი)) ხელმძღვანელი / წარმომადგენელი;
ზ) სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი/წარმომადგენელი;
თ) საჭიროების შემთხვევაში, მოწვეული წევრი.

მუხლი 5. კონკურსის გამოცხადება

1. საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს ბრძანებას კონკურსის გამოცხადებასთან დაკავშირებით და ამტკიცებს საკონკურსო კომისიას თითოეული შესარჩევი ეტაპისთვის.

2. გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, არსებული ხელშეკრულებების შესაბამისად, უნივერსიტეტში კონკურსი ცხადდება ორ ეტაპად, შესაბამისად, გაზაფხულის ან/და შემოდგომის სემესტრში დაგეგმილი Erasmus+ საერთაშორისო მობილობისთვის. შესაძლებელია კონკურსის გამოცხადება მთლიან აკადემიურ წელზე.

3. კონკურსი გაზაფხულის სემესტრში განსახორციელებელი მობილობისთვის ტარდება ნოემბერში, ხოლო შემოდგომის სემესტრში განსახორციელებელი მობილობისთვის - აპრილში. მთლიან აკადემიურ წელზე გამოცხადებული კონკურსის ვადები განისაზღვრება ინდივიდუალურად, განსახორციელებელი მობილობის ვადების გათვალისწინებით.

4. ინფორმაცია კონკურსის შესახებ Erasmus+ პროგრამის ფარგლებში განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე (https://gtu.ge/dir/erasmus.php).

5. სტუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი უზრუნველყოფს მიმდინარე კონკურსების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას უნივერსიტეტის ფაკულტეტების, ინსტიტუტებისა და სხვა სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებისთვის.

6. უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი უზრუნველყოფს დაინტერესებული კონკურსანტებისთვის სააპლიკაციო პროცედურებთან დაკავშირებულ

რეგულარულ კონსულტაციებს უნივერსიტეტის ვებგვერდზე (https://gtu.ge/dir/, https://gtu.ge/dir/erasmus.php) გამოქვეყნებული გრაფიკის შესაბამისად და განსაზღვრავს კონსულტაციაზე უფლებამოსილ პირს.

7. საკონკურსო განცხადებაში მიეთითება მიმღები უნივერსიტეტის დასახელება, ინფორმაცია საგრანტო კვოტების შესახებ, საკონკურსოდ განსაზღვრული მიმართულებების/პროგრამების ჩამონათვალი, საკონკურსო ვადები.

8. ბილატერალური ხელეკრულების ფარგლებში გამოცხადებული გაცვლითი პროგრამის პროექტთან დაკავშირებული კონკურსის პირობების, სააპლიკაციო პროცედურების, სათანადო დოკუმენტაციისა და ვადების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება შესაბამისი პროექტის საკონკურსო განაცხადში, პროექტის კოორდინატორის მითითებების შესაბამისად.

9. შესაძლებელია კონკურსის ჩატარების პროცედურებთან დაკავშირებული თარიღები შეიცვალოს კონკრეტული პროექტის კოორდინატორი უსდ-ის (Erasmus+ პროგრამის ქვეყნის უსდ) მოთხოვნების შესაბამისად ან უქმე და სადღესასწაულო დღეების გათვალისწინებით.

მუხლი 6. დოკუმენტები კონკურსში მონაწილეობისათვის

1. კონკურსში მონაწილეობისათვის საჭირო დოკუმენტების ჩამონათვალი, აგრეთვე, შესაბამისი ფორმები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე (https://gtu.ge/dir/erasmus.php).

2. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად **სტუდენტის** მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტები ინგლისურ ენაზე:

ა) შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან შეთანხმებით შევსებული და აპლიკანტისა და დეკანის ხელმოწერით დადასტურებული ინდივიდუალური სასწავლო ხელშეკრულება;

ბ) პირადობის მოწმობის /პასპორტის ასლი;

გ) ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ, სწავლების წლის/საფეხურისა და სწავლების ენის მითითებით;

დ) შევსებული სააპლიკაციო ფორმა;

ე) EUROPASS CV.

ვ) სამოტივაციო წერილი. მოტივაცია უნდა იყოს დასაბუთებული და სტრუქტურულად გამართული, მიზნების, მოსალოდნელი შედეგებისა და სარგებლის თვალსაჩინო წარმოდგენით, თუ როგორ გამოიყენებს დარგში შეძენილ ცოდნას.

ზ) საგანმანათლებლო პროგრამის ენის ცოდნის (მინიმუმ B2 დონე) დამადასტურებელი სერტიფიკატი/ცნობა, რომ აპლიკანტს მიღებული აქვს განათლება ან სწავლობს შესაბამის უცხოურენოვან პროგრამაზე. ასეთის არარსებობის შემთხვევაში, აპლიკანტი გაივლის შიდა საუნივერსიტეტო ტესტირებას შესაბამის უცხოურ ენაში, უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრში;

თ) ნიშნების ფურცელი, GPA მითითებით;

ი) სარეკომენდაციო წერილი, რეკომენდატორის საკონტაქტო ინფორმაციისა და მოცემული კონკურსისათვის რეკომენდაციის გაცემის თარიღის მითითებით;

კ) არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი უწყებიდან გაცემული ცნობა იმის შესახებ, რომ აპლიკანტი არის: სოციალურად დაუცველი, სპეციალური საჭიროებების მქონე, ეროვნული

უმცირესობის წარმომადგენელი (ე.წ. „1+4 საგანმანათლებლო პროგრამის“ მონაწილე) ან იძულებით გადაადგილებული პირი, საჭიროების შემთხვევაში, ინგლისურ ენაზე გადათარგმნილი და ნოტარიულად დამოწმებული;

ლ) წინა საფეხურზე მიღებული უმაღლესი განათლების დიპლომი და დიპლომის დანართი (არსებობის შემთხვევაში) ან აკადემიური ცნობა;

მ) კვლევის გეგმა დოქტორანტებისთვის, აგრეთვე, ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სწავლების დამამთავრებელი წლის/ სტაჟირების მიზნით მობილობის მსურველი სტუდენტებისთვის, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის მიერ დამოწმებული;

ნ) დამატებითი ინფორმაცია აპლიკანტის შესახებ (კონფერენციებში, სპორტულ, თვითშემოქმედებით და სხვა სტუდენტურ ღონისძიებებში მონაწილეობა);

ო) მხარდაჭერის წერილი მიმღები უნივერსიტეტის პროფესორისაგან /შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულისგან დოქტორანტებისთვის, აგრეთვე, ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სწავლების დამამთავრებელი წლის/სტაჟირების მიზნით მობილობის მსურველი სტუდენტებისთვის (ოფიციალური დოკუმენტი სავალდებულო არ არის. საკმარისია ელ-ფოსტით მიღებული თანხმობა).

3. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად **აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის** მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტები ინგლისურ ენაზე:

ა) სათანადოდ შევსებული მობილობის ხელშეკრულების პროექტი, ხელმოწერილი აპლიკანტისა და ვიზირებული შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის (სამსახურებრივი დაქვემდებარების მიხედვით) ხელმძღვანელის მიერ;

ბ) პირადობის მოწმობის /პასპორტის ასლი;

გ) შევსებული სააპლიკაციო ფორმა;

დ) EUROPASS CV.

ე) სამოტივაციო წერილი. მოტივაცია უნდა იყოს დასაბუთებული და სტრუქტურულად გამართული, მიზნების, მოსალოდნელი შედეგებისა და სარგებლის თვალსაჩინო წარმოდგენით. სამოტივაციო წერილში მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული მიმღებ უნივერსიტეტში შესასრულებელი სამუშაოები (გაწერილი სამუშაო გეგმა) და მნიშვნელობა.

ვ) მიმღები უნივერსიტეტის მოთხოვნის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის/სასწავლო კურსის სწავლების ენის ან ჩასატარებელი ღონისძიების/ღონისძიებების სამუშაო ენის ცოდნის (მინიმუმ B2 დონე) დამადასტურებელი სერტიფიკატი/ცნობა, რომ კონკურსანტს მიღებული აქვს უმაღლესი განათლება შესაბამის უცხოურენოვან პროგრამაზე ან წაკითხული აქვს ლექციები შესაბამის უცხოურ ენაზე. ასეთის არარსებობის შემთხვევაში, აპლიკანტი გაივლის შიდა საუნივერსიტეტო ტესტირებას შესაბამის უცხოურ ენაში, უნივერსიტეტის საგამოცდო და ელექტრონული სასწავლო რესურსების ცენტრში.

ზ) სარეკომენდაციო წერილი, რეკომენდატორის საკონტაქტო ინფორმაციისა და მოცემული კონკურსისათვის რეკომენდაციის გაცემის თარიღის მითითებით;

თ) უმაღლესი განათლების დიპლომი და დიპლომის დანართი (არსებობის შემთხვევაში) ან აკადემიური ცნობა;

ი) დამატებითი ინფორმაცია კონკურსანტის შესახებ (კონფერენციებში მონაწილეობა; პუბლიკაციები; გამოგონებები; საგრანტო პროექტებში მონაწილეობა; ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით განხორციელებული აქტივობები; უნივერსიტეტში

საზოგადოებრივი, საგანმანათლებლო-სამეცნიერო და შემოქმედებითი ღონისძიებების ორგანიზებასთან დაკავშირებული, არათანამდებობრივი ვალდებულებებით განსაზღვრული საქმიანობა და სხვ.)

კ) ცნობა დასაქმების შესახებ, სადაც გაწერილი იქნება ინფორმაცია უნივერსიტეტში აპლიკანტის მიერ დაკავებული აკადემიური/ადმინისტრაციული თანამდებობის შესახებ (უნივერსიტეტის შტატიანი ან ხელშეკრულებით მოწვეული თანამშრომელი) და ვადები;

ლ) სპეციალური საჭიროებების მქონე პირის მიერ - შესაბამისი უწყებიდან გაცემული ცნობა, საჭიროების შემთხვევაში, ინგლისურ ენაზე გადათარგმნილი და ნოტარიულად დამოწმებული.

4. აპლიკანტს ერთ აკადემიურ სემესტრში გამოცხადებულ კონკურსში შეუძლია გააკეთოს სააპლიკაციო განაცხადი მაქსიმუმ 2 კოორდინატორ უნივერსიტეტზე. მისი ნომინაცია გაიგზავნება მხოლოდ იმ კოორდინატორ უნივერსიტეტში, რომელსაც პრიორიტეტს მიანიჭებს აპლიკანტი ამ ორი უნივერსიტეტიდან კომისიასთან გასაუბრების დროს ან წერილობითი შეტყობინებით. არჩეულ უნივერსიტეტში ნომინირების შემდეგ მისი კანდიდატურა/სააპლიკაციო განაცხადი აღარ განიხილება სხვა უნივერსიტეტში ნომინირებისთვის იმავე აკადემიურ სემესტრში გამოცხადებულ კონკურსზე.

5. აპლიკანტმა კონკურსში მონაწილეობისათვის საჭირო დოკუმენტები უნდა წარადგინოს ელეტრონულად, PDF-ფაილების სახით, ელექტრონული ფოსტის საშუალებით: erasmusplus@gtu.ge. თითოეულ დოკუმენტს სახელი უნდა დაერქვას შემდეგნაირად: კონკურსანტის სახელი_გვარი_დოკუმენტის სახელი (ინგლისურ ენაზე).

6. აპლიკანტის მიერ ზემოჩამოთვლილი დოკუმენტაციის არასრულად ან არასათანადოდ წარდგენის შემთხვევაში, მისი სააპლიკაციო განაცხადი საკონკურსოდ არ განიხილება.

7. აპლიკანტის მიერ წარდგენილ განაცხადში აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის სფერო უნდა შეესაბამებოდეს მიმღებ უნივერსიტეტთან გაფორმებულ ინტერინსტიტუციურ ხელშეკრულებაში განსაზღვრულ პრიორიტეტულ საგანმანათლებლო მიმართულებებს.

7. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება და კონსულტაციები

1. გაზაფხულის სემესტრში დაგეგმილი საერთაშორისო მობილობისთვის საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენის ბოლო ვადაა 31 ოქტომბერი/5 ნოემბერი.

2. შემოდგომის სემესტრში დაგეგმილი საერთაშორისო მობილობისთვის საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენის ბოლო ვადაა 31 მარტი/5 აპრილი.

3. დამატებითი დეტალური ინფორმაცია გამოცხადებულ კონკურსთან დაკავშირებით – ინფორმაცია კონკურსის პირობების, შემოთავაზებული საერთაშორისო მობილობის ტიპებისა და ვადების შესახებ პერიოდულად გამოქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

4. უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი უზრუნველყოფს დაინტერესებული აპლიკანტებისთვის სააპლიკაციო პროცედურებთან დაკავშირებულ რეგულარულ კონსულტაციებს სტუ-ს ვებგვერდზე (https://gtu.ge/dir/,

https://gtu.ge/dir/erasmus.php) გამოქვეყნებული გრაფიკის შესაბამისად და განსაზღვრავს კონსულტაციაზე უფლებამოსილ პირს.

5. კონსულტაციის ვადებია:

სექტემბერი - ნოემბერი (გაზაფხულის სემესტრის მობილობისთვის);

თებერვალი - აპრილი (შემოდგომის სემესტრის მობილობისთვის).

8. ტესტირება

1. აპლიკანტებისთვის, რომლებმაც განაცხადში არ წარადგინეს საგანმანათლებლო პროგრამის ენის ფლობის (მინიმუმ B2 დონე) სათანადო სერტიფიკატი/ცნობა ან არ სწავლობენ შესაბამის უცხოურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე ან არ წარადგინეს დოკუმენტი იმის თაობაზე, რომ მიღებული აქვს უმაღლესი განათლება შესაბამის უცხოურენოვან პროგრამაზე ან წაკითხული აქვს ლექციები შესაბამის უცხოურ ენაზე, ჩატარდება შიდა საუნივერსიტეტო ტესტირება შესაბამის უცხოურ ენაში უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრში.
2. აპლიკანტებს ტესტირების ჩატარების ვადების შესახებ ეცნობებათ ინდივიდუალურად საკონკურსო განაცხადში მითითებული ელ. ფოსტით ან სხვა საკონტაქტო ინფორმაციის მეშვეობით.
3. საკონკურსოდ განიხილება იმ აპლიკანტების განაცხადები, რომლებიც ტესტირების შედეგად დააგროვებენ 51 და მეტ ქულას.
4. საუნივერსიტეტო ტესტირების შედეგი ვალიდურია 2 წლის განმავლობაში (ახალი სააპლიკაციო განაცხადის შემოტანის მომენტისათვის არ უნდა იყოს გასული ტესტირებიდან 2 წელზე მეტი).

9. კონკურსის ჩატარება

1. აპლიკანტების დოკუმენტების სორტირება საკონკურსო კომისიისათვის წარსადგენად უნდა დასრულდეს არა უგვიანეს 16 ნოემბრისა (გაზაფხულის სემესტრის მობილობისთვის) და არა უგვიანეს 16 აპრილისა (შემოდგომის სემესტრის მობილობისთვის).
2. აპლიკანტის დოკუმენტების განხილვა და გასაუბრება კომისიამ უნდა დაასრულოს 20 ნოემბრამდე (გაზაფხულის სემესტრის მობილობისთვის) და 20 აპრილამდე (შემოდგომის სემესტრის მობილობისთვის).
3. სტუდენტი კონკურსანტების შეფასება ხორციელდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:
3.1. GPA (**1-5** ქულა):
ა) 5 ქულა - 3,90 – 4,00;
ბ) 4 ქულა - 3,70 – 3,89;
გ) 3,5 ქულა - 3,40 – 3,69
დ) 3 ქულა - 3,10 – 3,39;
ე) 2 ქულა - 2,80 – 3,09 ;
ვ) 1,5 ქულა - 2.50 - 2,79;
ზ) 1 ქულა - 2,20 -2,49.

3.2. მიმღები უნივერსიტეტის მოთხოვნის შესაბამისი უცხოური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი/ცნობა/ტესტირების შედეგი (1-5 ქულა):
ა) **5** ქულა - უცხოური ენის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი (TOEFL, IELTS, Goethe - Zertifikat B2, DELF/DALF, TYS, PLIDA, DELE);
ბ) 4,5 ქულა - შესაბამის უცხოურ ენაში საუნივერსიტეტო ტესტირების შედეგი 91-დან 100 ქულამდე;
გ) 4 ქულა - შესაბამის უცხოურ ენაში საუნივერსიტეტო ტესტირების შედეგი 81-დან 90 ქულამდე;
დ) 3 ქულა - შესაბამის უცხოურ ენაში საუნივერსიტეტო ტესტირების შედეგი 71-დან 80 ქულამდე;
ე) 2 ქულა - შესაბამის უცხოურ ენაში საუნივერსიტეტო ტესტირების შედეგი 61-დან 70 ქულამდე;
ვ) 1 ქულა - შესაბამის უცხოურ ენაში საუნივერსიტეტო ტესტირების შედეგი 51-დან 60 ქულამდე.
3.3. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული მობილობის პროგრამებში მონაწილეობა:
იმ კონკურსანტის ჯამურ საკონკურსო ქულას, რომელსაც მანამდე უკვე მიღებული აქვს გრანტი(ები) ევროკავშირის მიერ დაფინანსებული მობილობის პროგრამების ფარგლებში, სააპლიკაციო განაცხადის შემოტანის მომენტისათვის 2 წლის განმავლობაში, აკლდება თითო ქულა მის მიერ გამოყენებული თითოეული მობილობის შესაბამისად.
3.4. დამატებითი ინფორმაცია (1 ქულა):
წარმოდგენილია დამატებითი ინფორმაცია კონფერენციებში, სასწავლო-სამეცნიერო და სხვა სტუდენტურ ღონისძიებებში მონაწილეობის, სპორტული/კულტურულ-შემოქმედებითი აქტივობების შესახებ – 1 ქულა.
3.5. შესარჩევ საკონკურსო კომისიასთან გასაუბრების შედეგები (1-5 ქულა). გასაუბრებაზე ფასდება კონკურსანტის მოტივირებულობა და პრეზენტაბელურობა:
ა) პასუხები დასმულ შეკითხვებზე გამართულია, საკითხის საფუძვლიანად ცოდნის დემონსტრირებით. მსჯელობა სრულყოფილი და დამაჯერებელია. მიმღებ უნივერსიტეტში დაგეგმილი აქტივობების შესახებ ინფორმაცია გადმოცემულია ამომწურავად. გამართულადაა გამოყენებული პროფესიული ტერმინოლოგია - 5 ქულა;
ბ) პასუხები დასმულ შეკითხვებზე კარგ დონეზეა, მაგრამ მოკლებულია დამაჯერებლობას. მსჯელობა კარგ დონეზეა. საკმაოდ კარგადაა გამოყენებული პროფესიული ტერმინოლოგია - 4 ქულა;
გ) პასუხები დასმულ შეკითხვებზე დამაკმაყოფილებელია, თუმცა არასრულყოფილი. მსჯელობა პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით, დამაკმაყოფილებელ დონეზეა - 3 ქულა;
დ) პასუხები დასმულ შეკითხვებზე არასრული და არადამაჯერებელია. მსჯელობა მოიცავს ხარვეზებს. პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებისას დაშვებულია შეცდომები - 2 ქულა;
ე) პასუხები სრულყოფილად არ შეესაბამება დასმულ შეკითხვებს. მსჯელობა პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით, მრავალ ხარვეზს მოიცავს - 1 ქულა.
4. კონკურსში მონაწილე აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის შეფასება ხორციელდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:
4.1. მიმღები უნივერსიტეტის მოთხოვნის შესაბამისი უცხოური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი/ცნობა/ტესტირების შედეგი (**1-5** ქულა);

ა) 5 ქულა - უცხოური ენის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი (TOEFL, IELTS, Goethe - Zertifikat B2, DELF/DALF, TYS, PLIDA, DELE);

ბ) 5 ქულა - შესაბამის უცხოურ ენაზე მიღებული განათლება;

გ) 5 ქულა - უცხოურენოვანი სასწავლო კურსის სწავლების გამოცდილება;

დ) 5 ქულა - საუნივერსიტეტო უცხოურენოვან დოკუმენტაციაზე მუშაობის გამოცდილება/საერთაშორისო პროექტებზე მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, გაცემული პროექტის კოორდინატორის მიერ (პროექტში შესაბამისი საქმიანობის აღწერით) (ადმინისტრაციული პერსონალის შემთხვევაში);

ე) 4,5 ქულა - შესაბამის უცხოურ ენაში საუნივერსიტეტო ტესტირების შედეგი 91-დან 100 ქულამდე;

ვ) 4 ქულა - შესაბამის უცხოურ ენაში საუნივერსიტეტო ტესტირების შედეგი 81-დან 90 ქულამდე;

ზ) 3 ქულა - შესაბამის უცხოურ ენაში საუნივერსიტეტო ტესტირების შედეგი 71-დან 80 ქულამდე;

თ) 2 ქულა - შესაბამის უცხოურ ენაში საუნივერსიტეტო ტესტირების შედეგი 61-დან 70 ქულამდე;

ი) 1 ქულა - შესაბამის უცხოურ ენაში საუნივერსიტეტო ტესტირების შედეგი 51-დან 60 ქულამდე.

4.2. სტუ-ში მიმდინარე Erasmus+ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა ბოლო 2 წლის განმავლობაში, მოცემული კონკურსისთვის (-5-დან 5 ქულამდე):

ა) 5 ქულა - პირველად;

ბ) მაქსიმუმ -5 ქულა - მობილობით ისარგებლა გამოცხადებულ კონკურსში სააპლიკაციო განაცხადის წარდგენამდე 2 წლის განმავლობაში - აკლდება თითო ქულა მის მიერ გამოყენებული თითოეული მობილობისთვის.

4.3. დამატებითი ინფორმაცია (1 ქულა):

წარმოდგენილია დამატებითი ინფორმაცია ისეთ აქტივობებთან დაკავშირებით, როგორიცაა კონფერენციებში მონაწილეობა; პუბლიკაციები; გამოგონებები; საგრანტო პროექტებში მონაწილეობა; ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით განხორციელებული აქტივობები; უნივერსიტეტში საზოგადოებრივი, საგანმანათლებლო-სამეცნიერო და შემოქმედებითი ღონისძიებების ორგანიზებასთან დაკავშირებული, არათანამდებობრივი ვალდებულებებით განსაზღვრული საქმიანობა და სხვ.

4.4. შესარჩევ საკონკურსო კომისიასთან გასაუბრების შედეგები (1-5 ქულა). გასაუბრებაზე ფასდება კონკურსანტის მოტივირებულობა და პრეზენტაბელურობა:

ა) სააპლიკაციო განაცხადში წარდგენილი სამუშაო გეგმის შესახებ მსჯელობა სრულყოფილი და დამაჯერებელია. მიმღებ უნივერსიტეტში დაგეგმილი აქტივობების შესახებ ინფორმაცია გადმოცემულია ამომწურავად. გამართულადაა გამოყენებული პროფესიული ტერმინოლოგია. პასუხები დასმულ შეკითხვებზე გამართულია, საკითხის საფუძვლიანად ცოდნის დემონსტრირებით - 5 ქულა;

ბ) სააპლიკაციო განაცხადში წარდგენილი სამუშაო გეგმის შესახებ მსჯელობა კარგ დონეზეა. საკმაოდ კარგადაა გამოყენებული პროფესიული ტერმინოლოგია. პასუხები დასმულ შეკითხვებზე კარგ დონეზეა, მაგრამ მოკლებულია დამაჯერებლობას - 4 ქულა;

გ) სააპლიკაციო განაცხადში წარდგენილი სამუშაო გეგმის შესახებ მსჯელობა პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით, დამაკმაყოფილებელ დონეზეა. პასუხები დასმულ შეკითხვებზე დამაკმაყოფილებელია, თუმცა არასრულყოფილი - 3 ქულა;

დ) სააპლიკაციო განაცხადში წარდგენილი სამუშაო გეგმის შესახებ მსჯელობა მოიცავს ხარვეზებს. პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებისას დაშვებულია შეცდომები. პასუხები დასმულ შეკითხვებზე არასრული და არადამაჯერებელია - 2 ქულა;

ე) სააპლიკაციო განაცხადში წარდგენილი სამუშაო გეგმის შესახებ მსჯელობა პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით, მრავალ ხარვეზს მოიცავს. პასუხები სრულაყოფილად არ შეესაბამება დასმულ შეკითხვებს - 1 ქულა.

5. თუ აპლიკანტის კომისიასთან გასაუბრების შედეგი 0 ქულაა, მისი კანდიდატურა საკონკურსოდ აღარ განიხილება.

6. გასაუბრების პროცესი ფიქსირდება ვიდეოჩანაწერის სახით, რის თაობაზე ინფორმაცია წინასწარ მიეწოდება თითოეულ მონაწილეს.

7. ერთნაირი შედეგების არსებობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭებათ:

ა) აპლიკანტს, რომელიც არის სოციალურად დაუცველი, სპეციალური საჭიროებების მქონე, ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი (ე.წ. „1+4 საგანმანათლებლო პროგრამის“ მონაწილე) და/ან იძულებით გადაადგილებული პირი, სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში;

ბ) აპლიკანტებს, რომლებსაც მანამდე არ მიუღიათ გრანტები ევროკავშირის მიერ დაფინანსებული Erasmus+ მობილობის პროგრამების ფარგლებში.

8. კონკურსანტის შეფასების კრიტერიუმები შეიძლება განისაზღვროს პროექტის კოორდინატორი (მიმღები) უნივერსიტეტის მიერ, პროექტის კოორდინატორის მოთხოვნის შესაბამისად, თუ აღნიშნული კრიტერიუმები არ ეწინააღმდეგება უნივერსიტეტის რეგულაციებს.

9. მიმღებ პარტნიორ უნივერსიტეტს შეუძლია განსაზღვროს თავისი პრიორიტეტები სასწავლო კურსთან დაკავშირებით, ინტერინსტიტუციური ხელშეკრულების ფარგლებში (Erasmus+ პროგრამის შემთხევაში).

10. მიმღებ პარტნიორ უნივერსიტეტს შეუძლია განსაზღვროს თავისი პრიორიტეტები წასაკითხი ლექციების კურსთან დაკავშირებით, ინტერინსტიტუციური ხელშეკრულების ფარგლებში (Erasmus+ პროგრამის შემთხევაში).

11. მიმღებ პარტნიორ უნივერსიტეტს შეუძლია განსაზღვროს მიზნობრივი ჯგუფი მობილობის პერიოდში განსახორციელებელი აქტივობების გათვალისწინებით.

12. თუ მიზნობრივ ჯგუფს წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის თანამშრომელი, რომლის საქმიანობა უშუალოდ უკავშირდება უნივერსიტეტში გაცვლითი პროექტების მომზადებასა და განხორციელებას, პროექტის ინტერესებიდან გამომდინარე, დეპარტამენტის უფროსი პირდაპირი ნომინაციის გზით რეკომენდაციას უწევს მას მიმღებ პარტნიორ უნივერსიტეტში ნომინირებისთვის, კომისიის თავმჯდომარესთან შეთანხმებით.

10. კონკურსის შედეგები

1. კონკურსის შედეგები წარმოადგენს შერჩეული აპლიკანტების რანჟირებულ სიას მიღებული ქულების მიხედვით.

2. ინდივიდუალური მობილობის გრანტის მოსაპოვებლად, პარტნიორი უნივერსიტეტისთვის ნომინაციაში წარდგენილნი იქნებიან შესაბამისად რანჟირებული აპლიკანტები (სიის მიხედვით).

3. კონკურსის შედეგები აპლიკანტებს ინდივიდუალურად ეცნობებათ საკონკურსო განაცხადში მითითებული ელ. ფოსტით.

11. კონკურსის შედეგების გასაჩივრების პროცედურა

1. აპლიკანტს უფლება აქვს, გაასაჩივროს საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება კონკურსის შედეგების გაცნობიდან 24 საათის განმავლობაში.

2. სააპელაციო განცხადება იწერება სააპელაციო კომისიის სახელზე და ხელმოწერილი განცხადება ელექტრონულად ან ნაბეჭდი სახით მიეწოდება საქმისწარმოების დეპარტამენტს.

3. საჩივრის განხილვის მიზნით, რექტორის ბრძანებით იქმნება სააპელაციო კომისია.

4. სააპელაციო კომისია შედგება 3 წევრისაგან, რომლებიც არ შეიძლება იყვნენ საკონკურსო კომისიის წევრები.

5. სააპელაციო კომისია განიხილავს შემოსულ საჩივარს 1 დღის ვადაში. გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით და ფორმდება სააპელაციო კომისიის ოქმით.

6. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება ეგზავნება აპელანტს სააპლიკაციო ფორმაში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე.

7. გასაჩივრების ვადის ამოწურვიდან 3 დღის განმავლობაში საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი, სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილების გათვალისწინებით, ნომინანტთა შესაბამის რანჟირებულ სიას, მოთხოვნილ დოკუმენტაციასთან ერთად, უგზავნის მიმღებ უნივერსიტეტს.

12. გაცვლით პროგრამაში მონაწილეობასთან დაკავშირებული რეგულაციები

1. გაცვლით პროგრამაში მონაწილე უნივერსიტეტის სტუდენტი პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლას აგრძელებს შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტს გაცვლითი პროგრამის პერიოდში უნივერსიტეტში უნარჩუნდება აქტიური სტუდენტის სტატუსი და არ თავისუფლდება ამ პერიოდში სწავლის საფასურის გადახდისაგან.

3. გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტის სწავლის საფასური დგინდება პარტნიორ უნივერსიტეტში გასავლელი სასწავლო/კვლევითი კომპონენტების შესაბამისად, ინდივიდუალური სასწავლო ხელშეკრულების საფუძველზე.

4. სტუდენტის გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის შესახებ შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე გამოიცემა უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება, სადაც მიეთითება პროგრამის პერიოდი, პარტნიორი უნივერსიტეტის დასახელება და სტუდენტის მიერ გასავლელი კრედიტების/კვლევითი კომპონენტების რაოდენობა.

5. გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტის მიერ პარტნიორ უნივერსიტეტში გავლილი სასწავლო/კვლევითი კომპონენტების აღიარებას ახორციელებს შესაბამისი ფაკულტეტი უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად.
6. გაცვლითი პროგრამის მონაწილე აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალი გაცვლით პროგრამაში მონაწილეობას იღებს სამსახურებრივი მივლინების შესახებ უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების საფუძველზე. ბრძანების გამოსაცემად აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალი ვალდებულია, გამგზავრებამდე არა უგვიანეს 10 დღისა, უნივერსიტეტის რექტორის სახელზე წარადგინოს სამსახურებრივი ბარათი ქართულ ენაზე თარგმნილ შესაბამის მოწვევის წერილთან და სხვა საჭირო დოკუმენტაციასთან ერთად.
7. გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტი/აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალი ვალდებულია, გაცვლითი პროგრამის დასრულების შემდეგ, არა უგვიანეს 30 დღისა, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტში წარადგინოს განხორციელებული მობილობის შესახებ ანგარიში ელექტრონული ფორმით, ქართულ და ინგლისურ ენებზე, შესაბამისი ფოტომასალით, თანდართული ფორმების შესაბამისად (დანართი 1, დანართი 2).
8. საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი უფლებამოსილია, მოაწყოს წარმოდგენილი ანგარიშის/ანგარიშების საჯარო განხილვა უნივერსიტეტში/შესაბამის ფაკულტეტზე.

დამტკიცებულია სტუ-ის აკადემიური საბჭოს
2025 წლის 16 იანვრის №01-04-05/02 დადგენილებით

დანართი 1

მობილობის ანგარიშის ფორმა
სტუდენტებისთვის
Student Mobility Report Form

მობილობის პროექტი Exchange project	
პროექტის მონაწილის სახელი, გვარი Name of the project participant	
ფაკულტეტი/სასწავლო პროგრამა Faculty/Study programme	
სწავლების საფეხური (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) Study level (undergraduate, postgraduate, PhD)	
მიმღები უნივერსიტეტი (ქალაქი, ქვეყანა)/ფაკულტეტი Receiving university (city/country)/Faculty	
განხორციელებული მობილობის ტიპი (სასწავლო / სტაჟირება) Mobility type (study / trainesheep)	
განხორციელებული მობილობის პერიოდი Mobility period	
მობილობის პერიოდში მიღებული ECTS კრედიტების რაოდენობა ECTS credits awarded at recieving university	
განხორციელებული მობილობის შედეგი - კოორდინატორ უნივერსიტეტში მიღებული ECTS კრედიტებიდან საქართველოს	

ტექნიკურ უნივერსიტეტში აღიარებული ECTS კრედიტების რაოდენობა ECTS credits recognition at GTU	
მობილობის პერიოდში სტუდენტის მიღწევები აკადემიური, სოციალურ-კულტურული აქტივობების მიმართულებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში და შესაბამისი ფოტომასალა Student achievements related to academic, social-cultural activities (if applicable) during the mobility and appropriate photos	

დამტკიცებულია სტუ-ის აკადემიური საბჭოს
2025 წლის 16 იანვრის №01-04-05/02 დადგენილებით

დანართი 2

მობილობის ანგარიშის ფორმა
თანამშრომლებისთვის
Staff Mobility Report Form

მობილობის პროექტი Exchange project	
პროექტის მონაწილის სახელი, გვარი Name of the project participant	
განხორციელებული მობილობის ტიპი (ადმინისტრაციული / აკადემიური) Mobility type (administrative/academic)	
განხორციელებული მობილობის პერიოდი Mobility period	
საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დაკავებული პოზიცია Position at GTU (administrative/academic)	
სტრუქტურული ერთეული/სასწავლო-სამეცნიერო მიმართულება Structural unit/teaching-research field	
მიმღები უნივერსიტეტი (ქალაქი, ქვეყანა) /სტრუქტურული ერთეული Receiving university (city/country)/ Structural unit	
განხორციელებული მობილობის შედეგი Mobility outcomes	
მობილობის პერიოდში განხორციელებული საქმიანობა, მათ შორის, პროფესიული,	

სოციალურ-კულტურული აქტივობები და შესაბამისი ფოტომასალა Activities carried out during the mobility, including occupational, social-cultural activities (if applicable) and appropriate photos	